აწმყო და წარსულის გაკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №5 (16), 2026 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია მოხალისეობრივ საწყისებზე. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროგრესის სახლი.

დიდება ძმობას, ერთობას! დიდება თავისუფლებას!

დიდება ზეცით კურთხეულს!
დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
„ვაშა!“ ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!“ შვებასა, სიხარულს,
„სალამი!“ ჭეშმარიტების,
შუქ – განთიადსა.

კოტე ფოცხვერაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ატრიბუტიკა და სიმბოლიკა

1918 **წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარეს დემოკრატიული რესპუბლიკა; შეიქმნა ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა, გამოცხდდა ნეიტრალიტეტი.**

საქართველოს დამოუკიდებლობას მტრულად შეხვდა ბოლშევიკური რეჟიმი, რუსეთი, რომლის მიზანი იყო ყოფილი იმპერიის აღდგენა. 1921 წელს, ქართველი ბოლშევიკების დახმარებით, საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყნის ანექსია მოახდინა.

1991 **წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყანამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი დაიბრუნა. 1991 წლის 9 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.**

1918 და 1991 წლების 26 მაისი სიმბოლოა გამარჯვებისა და დაუმარცხებელი ნებისა. 70-წლიანმა საბჭოთა ოკუპაციამც კი ვერ წაშალა ეს თარიღი და თავისუფლების სამი წელიწადი ხალხის მეხსიერებიდან; ორი 26 მაისი შეხსენებაა, რომ საქართველოს არჩევანი ევროპული მომავალია, რომ სახელმწიფოებრიობა არ არის საჩუქარი – ის მოიპოვება და ძლიერდება ხალხის ნებით და მუდმივი ზრუნვით.

ეროვნული შეგნება და სახელმწიფოებრივი არჩევანი

1801 და 1921 –საქართველოს ისტორიის ორი მძიმე თარიღის გადამწყვეტი ფაქტორი მხოლოდ გარე ძალა არ ყოფილა. საკითხი უფრო ღრმაა და უკავშირდება საზოგადოებრივ მდგომარეობას, პოლიტიკურ აზროვნებასა და ეროვნულ თვითშეგნებას, უფრო სწორად, **მტკიცე ეროვნული შეგნების** უქონლობას. პრობლემა მარტო რუსეთი არ არის. პრობლემა არის **ქართული პოლიტიკური აზროვნების სისუსტე**. ამიტომ, ბევრია დამოუკიდებლობის დაკარგული შანსი:

XVIII საუკუნე

მე-18 საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ღვაწლით, საქართველო უკვე დგებოდა ფეხზე, ერთიანობის იდეა ძლიერდებოდა. 1790 წელს დაიწერა ერთობის ტრაქტატი. ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის, გურიის მეფენი და მთავარნი საუკუნო ერთობის ფიცს დებდნენ. 1792 წელს ერეკლე მეორეს ეახლა დასავლეთ საქართველოს დელეგაცია თხოვნით: „იმერეთის სამეფო შეიერთეო.“ დადგა საუკუნეებით ნანატრი წუთი – ამერეთი და იმერეთი ერთიანდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გასჭრა არც იმიერ საქართველოს დელეგაციის თხოვნამ, არც ამიერ საქართველოს ბრძენთა მჭევრმეტყველებამ, არც ჯანსაღმა პოლიტიკურმა აზრმა: ერეკლე მეორემ უარი თქვა შეერთებაზე და გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა.

აღმავალი გზით მიმავალი საქართველო იმ დღიდან ისევ თავქვე დაეშვა უფსკრულისაკენ.

ამ დროს, კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებით შეშინებული თურქეთი და სპარსეთი საქართველოს მიმართ უფრო მეგობრობის მომხრენი იყვნენ, ვიდრე აშკარა მტრობისა. ერეკლე მეორეს სპარსეთი სთავაზობდა შეთანხმებას, ოსმალეთი, აღა-მაჰმად-ხანი ერეკლეს ძალიან მომგებიან წინადადებას სთავაზობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ქართველ პოლიტიკოსებს ამ სიტუაციის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენების ნიჭი და ალღო არ აღმოაჩნდათ.

„ბატონებო, იყვენით ფხიზლად! ჯვარცმულსა მალლმა, იდაჰვება ქვეყანა აშენებულად!“

სოლომონ ლიონიძე

...თქვენი იმედი გვქონდა და ახლაც მაქვს. მითხარით ვისთან მივიდე? ვის გამოუცხადო ჩვენი გულის ტკივილი? ოსმალოსთან მივიდე? მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე? შემიწყნარებენ? ლეკებთან მივიდე? მიმიღებენ? მაშ, ვისი საფარველის სასოება მქონდეს თუ არა რუსეთის დიდებული ხელმწიფის? ვის მივმართო, ვის ვაწყინო თავი?

ერეკლე მეორე – 1786 წ.

უფრო გვიან კი თურქეთის ხონთქარმა სელიმმა გიორგი XIII-ს აღუთქვა, თუ საქართველო რუსეთს ჩამოსცილდება, თურქეთის მფარველობას დასჯერდება, დაგიბრუნებთ ახალციხის საფაშოს და სრულიად სამცხეს ისე, როგორც ეს ძველად ყოფილაო. მეფემ და უმრავლესობამ არც ეს წინადადება გამოიყენეს.

ამ დროს მსოფლიოში იმპერიები ირყევიან. ყველა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს. ამ სიტუაციაში ორიენტირების ნაცვლად და დროის შესაფერი პოლიტიკური მოდელის გამოძებნის მაგიერ, ერთმორწმუნეობის დოგმით დაბრმავებული ქართველი ელჩები პეტერბურგში იმპერატორის კარს ატალახებენ.

მეფე გიორგი XIII-მ არავის განსხვავებულ აზრს და არგუმენტებს მოუსმინა. რუსეთთან ერთმორწმუნეობა მისთვის დაცვის მყარი არგუმენტი იყო.

მაგრამ, პოლიტიკაში რწმენამ არა, ინტერესებმა იმუშავა.



რუსეთის მიზანი საქართველოში ეკატერინე მეორედან დღემდე

გრაფი პანინის ფორმულა

წყარო: „ეს იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტა“, აკაკი ბაქრაძე

ფრაგმენტები აკაკი ბაქრაძის სტატიიდან

„ეს იქნებოდა სამართლიანი გადაწყვეტა"

...საქართველოს ისტორიაში ორი საბედისწერო თარიღია – 1801 წელი და 1921 წელი. ორივეჯერ ქართველმა ხალხმა არსებითად ნებაყოფლობით დათმო ეროვნული თავისუფლება და სხვისი ქვეშევრდომობა ამჯობინა. ორივეჯერ როგორც ერმა, ისე ქვეყნის თავკაცებმა უსაშველო პოლიტიკური გულუბრყვილობა გამოამჟღავნა.

...განა პეტრე პირველის მიერ ვახტანგ მეექვსის მოტყუება და აცუცურაკება ქართველ მეფეებს არაფერს ეუბნებოდა? განა 1724 წელს პეტრე პირველმა არ სცნო კანონიერად თურქთაგან საქართველოს დაპყრობა?

... ყოველმა ქართველმა იცის, რა მზაკვრულად მიატოვა ერეკლე მეორე რუსის ჯარმა ასპინძაში 1770 წელს. რუსები მიტოვებით არ დაკმაყოფილებულან. თბილისისაკენ მომავალნი გზადაგზა ჭორებს ავრცელებდნენ, ქართველები დამარცხდნენ, ერეკლე მოკლულია და ახლა ყველამ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი უნდა მიიღოსო. განა ამაზე უფრო დიდი ვერაგობა შესაძლებელია?

...1443 წელს გარდაიცვალა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე ალექსანდრე პირველი. იმ დღიდან უკვე საბოლოოდ დაქუცმაცებულმა საქართველომ 438 წელიწადი იჯახირა, ვიდრე 1801 წელს რუსეთის იმპერიას არ ჩააბარა „დაღლილ-დაქანცული სული და სხეული". ამ ოთხი გრძელი საუკუნის მანძილზე თანდათანობით კვდებოდა ქართველთა ეროვნული შეგნება.

XVIII საუკუნე

...ეროვნული ინტერესი ჩანავლებულიყო და ზევიდან სქელი ნაცარი ეყარა, ამ ნაცრის გაქექვას მთელი მე-19 საუკუნე დასჭირდება, მაგრამ ეროვნული ცეცხლის აგიზგიზება მაინც ვერ მოხერხდება. მაქსიმუმი, რასაც მე-19 საუკუნის ქართული პოლიტიკური აზრი მიაღწევს, ეროვნული ავტონომიის მოთხოვნაა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში (ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე). მაგრამ ეროვნული ავტონომიის იდეის განვითარება აღარ მოხერხდება, რადგან ამას წინ გადაეღობება სოციალიზმის იდეა, რომელიც ქართველი მარქსისტების პირით ყოველგვარ ეროვნულს უარყოფს.

...ყველაზე ანეკდოტური ის იყო, რომ, როცა სათანადო პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პარტია გახდა რსდმპ მენშევიკური ფრთა, ხოლო მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია. ქართველი მენშევიკები მთელი მათი მოღვაწეობის მანძილზე, ხელაღებით უარყოფდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო არა მარტო „შეუძლებელია, არამედ არც არის საჭირო!

...ამიტომ იყო, რომ 1921 წელს ქართველ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავი არ შეუწუხებია. წითელმა არმიამ ისე დაიკავა საქართველო, რომ მას არსებითად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

...თუ 1801 წელს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების დამჩლუნგებელი ოპიუმის როლი შეასრულა ერთმორწმუნეობის დოგმამ, 1921 წელს ეს როლი ერთპარტიულობის დოგმამ ითამაშა.

...1920 წლის 7 მაისსაც დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, მაგრამ ამას მოსკოვში არავისთვის შეუშლია ხელი დაერღვია იგი და წითელი არმია საქართველოში შემოსულიყო.

... თუმცა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლი ღაღადებდა: „რუსეთი ყოველი პირობების გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ".

...ამ ხელშეკრულებამაც იმიტომ ვერ დაგვიფარა, რომ აქაც სამი ფაქტორი მოქმედებდა, ისევე როგორც 1801 წელს:

1. რუსი შოვინისტები,
2. ქართველი რენეგატები და
3. **ეროვნული თვითშეგნების უქონლობა. თუ 1801 წელს ეროვნული თვითშეგნება შეცვლილი იქნა ერთმორწმუნეობის დოგმით, 1921 წელს – ეროვნული თვითშეგნება შეეწირა ერთპარტიულობის დოგმას.**

...მართალია, დიდად ტრაგიკულია, მაგრამ, ბრძოლად ვერ ჩაითვლება ის წინააღმდეგობა, რაც კოჯორთან გაუწია წითელ არმიას სტუდენტების და ახალგაზრდა ოფიცრების მცირე ჯგუფმა. ისინი მინაში ჩანვნენ, როგორც სისხლიანი საყვედური ქართველი ხალხის მიმართ, რომელმაც გულმშვიდად დათმო ეროვნული თავისუფლება.

ეს კი: მოხდა იმის გამო, რომ ვერც 1918–1921 წლებში ვერ მომზადდა ქართველი ხალხის მტკიცე ეროვნული შეგნება.

თუ ეს შეგნება არ გვაქვს, ვერავითარი ხელშეკრულება ვერ დაგიფარავს.

...საქართველოში მოსულმა რუსეთმა ბაგრატიონების დინასტიაც ძირფესვიანად ამოძირკვა და მენშევიკებიც. საქართველო დარჩა ისევ რუსეთის უღელქვეშ...

...ჩატარდეს საერთო-სახალხო რეფერენდუმი. რეფერენდუმმა პასუხი გასცეს ერთ კითხვას – უჭერს თუ არა მხარს ქართველი ხალხი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

თუ ქართველი ხალხი მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ აღსრულდეს ნება მისი და ქართველ ერს მიეცეს ის უფლება, რისი უფლებაც ყოველ ერს აქვს მსოფლიოში.

...აქაც ხმა ღვთისა და ხმა ერისა. თუ ეს მოხდება, ეს იქნება ჭეშმარიტი დღესასწაული, რომელიც დაამშვენებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს და საქმით დაანახვებს ყველას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნამდვილ არსს.

აკაკი ბაქრაძე
1979 წ.

განსასჯელად

- რუსეთი მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად: „გავიხსენოთ ეკატერინე მეორის კარისკაცის გრაფი პანინის ფორმულა – სული რუსული, სხეული ადგილობრივი, – რაც ასე ნათლად გამოხატავს საქართველოში რუსეთის გაბატონების ერთადერთ და საბოლოო მიზანს და რასაც ასე თანამიმდევრულად ახორციელებს რუსეთი 1800 წლიდან დღემდე.
- ქართველები გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ მხოლოდ ნაკლს, უარყოფით ფაქტორებს; გადაწყვეტილებები ემოციურია, არა – პრაგმატული.
- პარადოქსი: ნოე ჟორდანია და მისი გუნდი თავს რუსული პარტიის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ და გახდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ლიდერები.
- **1918 – ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი**: დამოუკიდებლობა გამოცხადდა არა მისკენ სწრაფვის გამო, არამედ გარე ფაქტორების გამო.
- **1921 – თავისუფლების დათმობა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე** – წითელი არმიას დახვდა მინიმალური წინააღმდეგობა. **ერი მზად არ იყო თავისუფლების დასაცავად!!!**

„გადარჩენის რეჟიმმა", რომელიც საუკუნეების წნეხის გამო ჩამოყალიბდა, ერს უბიძგა მოდელისკენ „როგორ გადავრჩე და არა – როგორ გადავარჩინო თავისუფლება". ამ რეჟიმში ნებისმიერი „პატრონი" მისაღებია ოღონდ სტაბილურობა იყოს.

მეფეები და პოლიტიკოსები მიეჩვივნენ „ძლიერი მფარველის" გავლენის ქვეშ ყოფნას, დაკარგეს დამოუკიდებლობა, მიიღეს მენტალური მონობა.

საქართველო დამარცხდა რადგან: დაკარგა საკუთარი თავი, ირწმუნა სხვისი შეგონება და თავისუფლება აღარ იყო მთავარი ღირებულება. ამიტომ, არ არსებობს სტრატეგიული აზროვნება, ვერ ხერხდება საერთაშორისო გარემოს სწორად შეფასება, პრიორიტეტი არ ენიჭება ეროვნულ ინტერესს და სახელმწიფო დგება სერიოზული რისკის წინაშე. ამას განაპირობებს არა მარტო ელიტის შეცდომები, არამედ, საზოგადოების პასიურობაც – ამ ორ ფაქტორს შორის კავშირი მჭიდროა.

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლის მიერ
მისამართი: 3500, ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. N11 ა
yscozurgeti@gmail.com